შპს ახალი ოფისი
ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი №31
204559067

ქ. თბილისი

6 მარტი 2014წ.

ქ. თბილისის მერიის

სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს

როგორც თქვენთვის ცნობილია, შპს "ახალი ოფისი" ახორციელებს ქ. თბილისში, რუსთაველის გამზ. #37-ის მიმდებარედ/ვარდების რევოლუციის მოედანზე არსებულ მიწის ნაკვეთზე შენობის მშენებლობის პროექტს, რის შესახებაც თბილისის არქიტექტურის სამსახურს გაცემული აქვს ნებართვა (ბრძანება #995066, თარიღი: 13 ნოემბერი 2013წ. და ბრძანება #1021847, თარიღი: 11 დეკემბერი 2013წ.), რომლის მიხედვითაც აღნიშნული პროექტის დამკვეთი არის შპს "ახალი ოფისი".

გამომდინარე იქიდან, რომ ხსენებული მიწის ნაკვეთი, მდებარე ქ. თბილისში, რუსთაველის გამზ. #37-ის მიმდებარედ/ვარდების რევოლუციის მოედანი, საკადასტრო კოდი 01.15.04.001.018 არის შპს "ივერია ცენტრის" (საიდენტიფიკაციო კოდი 404453113) საკუთრებაში, შპს "ახალი ოფისი" თანახმაა აღნიშნული პროექტი განახორციელოს შპს "ივერია ცენტრმა" და შესაბამისად, ზემოთ მითითებულ ნებართვაში (ბრძანებებში) განხორციელდეს ცვლილება, კერძოდ, დამკვეთად შპს "ახალ ოფისს" ჩაენაცვლოს შპს "ივერია ცენტრი".

პატივისცემით,

ნიკოლოზ სხირტლაძე

დირექტორი